

# საინფორმაციო ბიულეტენი

## აპრილი-აგვისტო
2021 წელი


საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

იანვარი – მარტი
2021 წელი

"საქართველოს მედიატორთა ასოციაცია" აქტიურად აგრძელებს მედიაციის განვითარებასა და პოპულარიზაციას ქვეყანაში.

მედიაცია, როგორც სხვადასხვა სახის სამართლებრივი დავების ეფექტიანი გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, საქართველოში უფრო და უფრო მაღალი ინტერესის და მოხმარების სფერო ხდება.

უწყვეტად მიმდინარეობს ევროპულ სტანდარტებზე მისადაგებული პროფესიის დანერგვა და მედიაციის სისტემის ორგანიზება, რომელიც სოციალური მშვიდობის დანერგვის გზაზე მხარეთათვის კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიულ მექანიზმი გახდება.

www.mediators.ge
/MediatorsGeorgia
/MAG
/mediators.ge
/MediatorsGeorgia
(032) 2 905 900
ნუცუბიძის ქ. 14ბ

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია


www.mediators.ge

/MediatorsGeorgia

/MAG

/mediators.ge

/MediatorsGeorgia

(032) 2 905 900

ნუცუბიძის ქ. 14 ბ

# საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი



### საქართველოს ნოტარიუსთა პალატა




### მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ევროკრედიტი"




### „West Ukrainian National University"



# საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

## ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

### კავკასიის ახალგაზრდა მედიატორთა ჰაბი




### ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა




### „საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"




### საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მხარდაჭერითა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს ( ELSA Georgia) ორგანიზებით ჩატარდა სამართლის სკოლა და შეჯიბრი მედიაციაში.






„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ასოციაციის მიერ გამოცხადებული ესეების კონკურსში მონაწილე გამარჯვებული სტუდენტები დააჯილდოვა.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მხარდაჭერითა და საქართველოს უნივერსიტეტის მასპინძლობით ჩატარდა INADR The InterNational Academy of Dispute Resolution -ის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო მედიაციის კონკურსი INADR International Law School Mediation Tournament 2021. მედიაციის საერთაშორისო ყოველწლიური შეჯიბრი აერთიანებს სამართლის სკოლის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მთელი მსოფლიოდან.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ კონკურსში გამარჯვებული პირველი ადგილის მფლობელისთვის დააწესა სპეციალური ჯილდო “Best Newcomer Mediator”.



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის (TSU NCADR) ორგანიზებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა და კანონის უზენაესობის მხარდამჭერის პროექტის“ (EWMI/PROLoG) მხარდაჭერით გაიმართა მედიაციის 35-საათიანი ონლაინ ტრენინგი საქართველოს 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური გუნდებისთვის.







„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე – „მოლაპარაკების ტექნიკები მედიატორებისათვის“.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და თბილისის ღია უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა დისკუსია თემაზე – ,,სასამართლო-კერძო მედიაციის არსობრივ-პროცედურული გარანტიების შედარებითი უპირატესობა ბიზნეს დავის კონტექსტში“.



“საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა“ და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის (global compact Georgia) ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა და დისკუსია - მედიაცია - დავის გადაწყვეტის უალტერნატივო მექანიზმი ბიზნესსექტორში.






„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელისა და USAID/PROLOG-ის მხარდაჭერით გაიმართა ონლაინ შეხვედრა: მედიაცია – დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმი საქართველოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ახალციხის, ბათუმის, გორის, ქუთაისის, მარნეულის, ოზურგეთის, რუსთავის, საგარეჯოს, თელავისა და ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოფისების წარმომადგენლებმა.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საერთო კრება გაიმართა. „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ საერთო კრებაზე ასოციაციის თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა კრების წინაშე წარადგინა 2020 წლის წლიური ანგარიში. საერთო კრებაზე, ასოციაციის ისტორიაში პირველად, შედგა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრთა არჩევნები და დამტკიცდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ეთიკის კოდექსი.



საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ოფისი USAID/PROLoG - ის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის მხარდაჭერით ტექნიკურად იქნა აღჭურვილი. მედიაციის სესიების ჩასატარებლად და ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ასოციაციაში მოეწყო კომფორტული სივრცეები.






"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭოს წევრები შეხვდნენ თბილისის, მცხეთისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს.
შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია - სასამართლო მედიაციის პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებზე და სამომავლოდ გაუმჯობესების გზებზე.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარე, ირაკლი ყანდაშვილი საქართველოს იუსტიციის მინისტრს რატი ბრეგაძეს შეხვდა.



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციას“, HR პროფესიონალთა ასოციაციის ორგანიზებით და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მხარდაჭერით გაიმართა ვებინარი თემაზე – „მედიაციის პრაქტიკული უპირატესობა შრომითი დავის კონტექსტში“.






„საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“ წელს პირველად მიიღო მონაწილეობა მინსკის ყოველწლიურ მედიაციის საერთა-შორისო ფესტივალში.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტი საქართველოში (PROLoG) – ის მხარდაჭერითა და ბრიტანელი ექსპერტის ჩართულობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ითვალისწინებს მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განათლების სავალდებულო სისტემის კონცეფციის შექმნას და დანერგვას საქართველოში.



„საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში“ ახლადარჩეული ეთიკის კომისიის წევრების პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზედაც არჩეული იქნა ეთიკის კომისიის პირველი თავმჯდომარე სოფიო დუღაშვილი.






ეთიკის კომისიის წევრების პირველი სხდომა გაიმართა.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) და გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის ერთობლივი ორგანიზებით „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრებისთვის გაიმართა სასწავლო ონლაინ ვორქშოპი თემაზე: „მედიატორთა საბაზისო და განგრძობადი განათლება“.



ევროპის ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის კომიტეტის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეობდა „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ირაკლი ყანდაშვილი.







„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დაწყებული მოძრაობის, „ვაქციოთ კანონი ყველასთვის ხელმისაწვდომი“ სულისკვეთებას გამოხატავს.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელისა და USAID/PROLOG-ის მხარდაჭერით გაიმართა ონლაინ შეხვედრა: მედიაცია – დავის გადაწყვეტის ახალი მექანიზმი საქართველოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ საქართველოს გორის, რუსთავის, მარნეულის, საგარეჯოს და თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოფისების წარმომადგენლებმა.



"საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ", ორთვიანი მუშაობის შემდეგ, სერტიფიცირების პროგრამის წესის თანახმად, წარმატებით დაასრულა დაინტერესებულ პირთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების პროცესი. აღნიშნულის შედეგად შემოწმდა 96 – ი მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია



USAID –ს მისიის დირექტორი პიტერ ვიბლერი “საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” ოფისს ეწვია და თავმჯდომარეს ირაკლი ყანდაშვილს შეხვდა.

“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” თავმჯდომარემ პრაქტიკულ უნარ-ჩვევების შემოწმების პროცესში მონაწილე შემფასებლები მადლობის სიგელით დააჯილდოვა.



“საქართველოს მედიატორთა ასოციაციის” ინიციატივით და “საქართველოს ბიზნესომბუდსმენის” პატრონაჟით, USAID/Georgia-ს პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერით საქართველოში“ USAID-PROLoG – Promoting Rule of Law in Georgia Activity ტექნიკური მხარდაჭერით დაფუძნდა ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმი “მედიაცია ბიზნესისთვის”, რომელიც ყოველ წელს გაიმართება და მიზნად ისახავს ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ინფორმირებას მედიაციის როლსა და მნიშვნელობაზე.





"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ორგანიზებით და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით ჩატარდა ონლაინ ტრენინგი მედიატორთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებისათვის მედიატორთა დისციპლინურ პროცედურებზე, რომელსაც უძღვებოდა ამერიკელი ექსპერტი, ჯეიმს მოლიტერნო.

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის„ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილმა ევროპის საბჭოს ექსპერტის რანგში მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით წარსდგა მეექვსე საერთაშორისო ფორუმზე „მედიაცია და სამართალი“.



"საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს მიხეილ სარჯველაძეს შეხვდა.



საქართველოს მედიატორთა ასოციაცია

"საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ" გასცა პროგრამული აკრედიტაცია მედიაციის ტრენინგის ჩატარებით დაინტერესებულ მსურველ სუბიექტებზე.

www.mediators.ge;

(032) 2 905 900

ნუცუბიძის ქ. 14 ბ

საქართველოს მედიატორთა ასოციაცია